

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
მათემატიკის დეპარტამენტი

დამატებითი(minor) პროგრამა

მათემატიკა

სწავლების ენა	ქართული
პროგრამის მოცულობა	60 კრედიტი
პროგრამის განხორციელების პერიოდი	2013/2014-2015/2016 სასწავლო წლები
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	<ul style="list-style-type: none"> • აწსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტი მეორე სემესტრის შემდეგ პირადი განცხადების საფუძველზე ირჩევს მისთვის სასურველ დამატებით პროგრამას; • იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველთა რაოდენობა აჭარბებს ფაკულტეტის საბჭოს მიერ (მათემატიკის დეპარტამენტის აკადემიური რესურსის გათვალისწინებით) დადგენილ რაოდენობას, პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობებს დამატებით ადგენს ფაკულტეტის საბჭო. წინაპირობები ეფუძნება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებლებს.
მიზანი	<ul style="list-style-type: none"> • მისცეს სტუდენტს მათემატიკის საბაზისო თეორიებისა და პრინციპების ცოდნა • სტუდენტს განუვითაროს მათემატიკური თეორიებისა და მეთოდების გამოყენების უნარი მარტივი და საშუალო დონის თეორიული და გამოყენებითი ხასიათის პრობლემების გადასაჭრელად • სტუდენტს განუვითაროს ლოგიკური აზროვნების, კრიტიკული გააზრებისა და ანალიზის, მონაცემების საფუძველზე სწორი დასკვნების გაკეთების უნარი
დასაქმების სფერო	მათემატიკის დამატებითი (Minor) პროგრამის გავლა ხელშემწყობი ფაქტორია ყველა იმ სფეროში დასაქმებისათვის, რომლებშიც მოითხოვენ მათემატიკის ცოდნას, მათემატიკური მეთოდების ფლობას და ლოგიკური აზროვნების უნარს.

სასწავლო გეგმა

№	კურსის დასახელება	ს.კ.	ლ./პრ./ს./ლბ.	კრედიტთა რაოდენობა	სემესტრები								კოდი
					I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
1	მათემატიკური ანალიზი -2	4	2.2.0.0	5			5						NMB0331
2	ანალიზური გეომეტრია	4	2.2.0.0	5			5						NMB0341
3	ალგებრა -1	4	2.2.0.0	5				5					NMB0351
4	მათემატიკური ანალიზი -3	4	2.2.0.0	5				5					NMB0340
5	მათემატიკური ანალიზი -4	4	2.2.0.0	5					5				NMB0350
6	ალგებრა -2	3	2.1.0.0	5					5				NMB0120
7	ალგებრა -3	3	2.1.0.0	5						5			NMB0130
8	ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებები-1	4	2.2.0.0	5						5			NMB0201
9	ფუნქციონალური ანალიზი-1	3	2.1.0.0	5							5		NMB0791
10	ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა-1	3	2.1.0.0	5							5		NMB0011
11	ოპტიმიზაციის მეთოდები	3	2.1.0.0	5								5	NMB0620
12	მათემატიკური მოდელირება	2	1.1.0.0	2,5								2,5	NMB0602
13	მათემატიკის ისტორია	2	1.1.0.0	2,5								2,5	NMB0775

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება: ს.კ. -საკონტაქტო საათი კვირაში, ლ./პრ./ს./ლბ. - ლექცია/პრაქტიკული მეცადინეობა/სემინარი/ლაბორატორიული მეცადინეობა

**სტუდენტის ცოდნის
შეფასების სისტემა**

1. პროგრამით გათვალისწინებულ კურსში კრედიტის მიღება შესაძლებელია სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.
2. სტუდენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.
3. სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:
 - ა) შუალედურ შეფასებას;
 - ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.
4. დასკვნითი გამოცდა ფასდება არაუმეტეს 40 ქულით.
5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.
6. შეფასების სისტემა ითვალისწინებს:
 - ა) ხუთი სახის დადებითი შეფასებას:
 - ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
 - ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
 - ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
 - ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
 - ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;
 - ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასებას:
 - ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
 - ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ხელახლა აქვს შესასწავლი.
7. მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.
8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი არანაკლებ 10 დღეა.
9. დამატებითი კრიტერიუმები და მოთხოვნები განისაზღვრება სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით.